განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ

მოხელის მენეჯერული უნარები

სსიპ „თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო დოლიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

წევრი:

გიორგი ეზუგბაია, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

თბილისი

2020

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება	თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი	205329697

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	"მოხელის მენეჯერული უნარები"
საათების რაოდენობა	40
სწავლების მეთოდი/ ფორმა	☐ელექტრონული კურსი ☒საკლასო მეცადინეობა
პროგრამის სტატუსი (ახალი/აკრედიტებული)	ახალი

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

სსიპ „თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის" მიერ წარმოდგენილი „მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამა" შედგენილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის N242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" (შემდგომში - N242 დადგენილება) შესაბამისად. პროგრამის მიზანია საჯარო სამსახურში დასაქმებულ I და II რანგის მოხელეთათვის მენეჯერული უნარების განვითარება.

პროგრამის სამიზნე აუდიტორიას შეადგენენ მაღალი და საშუალო მმართველობითი დონის მოხელეები, კერძოდ:

- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა;
- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა;

- საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.

პროგრამა მოიცავს 5 ძირითად მოდულს და მისი სრული ხანგრძლივობაა 40 საათი.

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 24 ივნისს 10:00 საათიდან. სამუშაო განრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ: შეხვედრა სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დირექტორთან და მოადგილესთან; პროგრამების შემმუშავებელ ჯგუფთან/ პროფესიული განვითარების სამმართველოს წარმომადგენლებთან; ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან; ტრენერებთან; სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან (ფინანსური უზრუნველყოფა, შესყიდვები და ლოჯისტიკა). აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო, ტრენერებთან შეხვედრა განხორციელდა ონლაინ, zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები და ა.შ.) დათვალიერება და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

- **რეკომენდაციები**
  - მსმენელთა შეფასების კითხვარში მატერიალური-ტექნიკური კომპონენტის შესაფასებელი კითხვის დეტალიზება/ღია პასუხის შესაძლებლობის შექმნა
  - სასწავლო მასალების მოცულობისა და მიწოდების ფორმის (ელექტრონულ ბაზაში ატვირთვა) შესახებ კითხვის დამატება

- **რჩევები (არსებობის შემთხვევაში)**
  - სასურველია, ტრენერების მიერ წინასწარ მომზადდეს სასწავლო პროგრამის განხორციელებისას გამოსაყენებელი სასწავლო მასალა და შეჯერდეს ერთმანეთთან
  - ტრენინგის მონაწილის სწავლის შედეგების შეფასებისთვის უმჯობესია პოსტ-ტესტთან ერთად გამოყენებული იქნეს პრე-ტესტიც
  - წარმოდგენილი პროგრამისათვის სპეციფიკური სერტიფიკატის ნიმუშის შემუშავება
  - სასურველია, რომ შემუშავდეს კომერციული ტრენინგების ბიუჯეტი

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა ახალია

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი	☒	☐	☐
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1.სახელი, გვარი (თავმჯდომარე) ნინო დოლიძე

2.სახელი, გვარი (წევრი) გიორგი ეზუგბაია

პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. პროგრამის შინაარსი

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით (შემდგომში – დადგენილება) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამის სტრუქტურა, მისი კომპონენტები, სწავლის მეთოდები და შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1. პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლამ (შემდგომში - სკოლა) სკოლის დირექტორის ბრძანებით (19/12/2019 MOD 0 1900000033) დამტკიცებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის შესაბამისად უზრუნველყო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამების შემუშავება. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია სკოლაში სასწავლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების ეტაპები, კერძოდ, ე.წ. ADDIE მოდელის შესაბამისად, ის მოიცავს ხუთ ფაზას: 1. ანალიზი 2. შემუშავება (დიზაინი) 3. განვითარება 4. განხორციელება 5. შეფასება. „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის შესაბამისად, ანალიზის ფაზის განმავლობაში ხორციელდება ტრენინგ საჭიროებების დადგენა, სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირება და კურსის მიზნების განსაზღვრა. აღნიშნულ ფაზაში სკოლა აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან როგორც უწყებრივ, ისე უსაფრთხოების სექტორის დონეზე. საჭიროების დასადგენად სკოლის მიერ უსაფრთხოების სექტორის დონეზე ჩამოყალიბებულია შემდეგი სამუშაო ჯგუფები: 1. უსაფრთხოების უწყების უფროსის მოადგილეებით დაკომპლექტებული სტრატეგიული მართვის საბჭო, თავდაცვის მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით; 2. სკოლის საქმიანობის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი - თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების უწყებების მიერ ოფიციალურად იდენტიფიცირებული საჯარო მოხელეებით; 3. ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო სამსახურის ბიუროსა და სასწავლო დაწესებულების/სამსახურის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძლებელია მოწვეულ იქნას სხვა საჯარო/კერძო დაწესებულების წარმომადგენლები.

ინდიკატორები:

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროგრამა, კურიკულუმი (დანართი 1);
- სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშნებლობის სკოლის მიერ შემუშავებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი (დანართი 8);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის შემუშავება/განვითარება თანამონაწილეობითი პროცესია, რომელშიც უზრუნველყოფილია დაინტერესებულ პირთა ჩართულობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით; პროგრამის ხელმძღვანელისა და თვითშეფასების ჯგუფის თანამშრომლობა დამოუკიდებელ ექსპერტებთან და საჯარო დაწესებულებებთან, მათ შორის, საჯარო სამსახურის ბიუროსთან, ხორციელდებოდა პროგრამის სტრუქტურის, მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ეტაპზე. თითოეული მოდულის შემუშავება მოხდა ტრენერთა

ერთობლივი მუშაობის, კონსულტაციების და სამუშაო შეხვედრების შედეგად, რომლებიც სკოლის მიერ იყო ორგანიზებული. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში მაღალი იყო თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ჩართულობა; სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან წარმომადგენლები, როგორც უსაფრთხოების სექტორიდან, ასევე სხვა საჯარო უწყებებიდან.

როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, სკოლა, თავისი მანდატიდან გამომდინარე, არ არის შეზღუდული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებით, შესაბამისად, მას აქვს საკმარისი კომპეტენცია და გამოცდილება, მოიცვას საჯარო სექტორის ფართო სპექტრი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის განვითარების ეტაპზე ჩატარდა პილოტირება, რომელიც გულისხმობდა პროგრამის სრული ციკლის (ყველა მოდულის) ტრენინგების განხორციელებას სამინისტროში დასაქმებული საჯარო მოხელეებისათვის. პილოტირების ერთობლივი განხილვის შედეგად პროგრამის განმახორციელებლ ტრენერებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, როგორც სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, ასევე, რომ თვითშეფასების ჯგუფი ინტენსიურ კონსულტაციებს გადიოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ელექტრონული კორესპონდენცია სფეროს ექსპერტებთან და საჯარო უწყებებთან
- სამუშაო შეხვედრების ოქმები
- ელექტრონული კორესპონდენცია პილოტირების პროცესისა და შედეგების შეფასების შესახებ
- სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დანართი 8)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა სკოლის ვებგვერდზე https://dibs.mod.gov.ge/GE/pages/22
ინდიკატორები: • დაწესებულების ვებ-გვერდი (https://dibs.mod.gov.ge/GE/pages/22)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური; პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა შემუშავებულია N242 დადგენილების შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების გათვალისწინებით და მოიცავს 5 მოდულს:

1. სტრატეგიული მართვა-დაგეგმვა (სტრატეგიული მენეჯმენტი, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნებისა და ამოცანების დაგეგმვა, სამოქმედო გეგმების შემუშავება);

2. მომსახურებისა და ხარისხის მართვა, რისკების მართვა, ცვლილებების მართვა;

3. გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა და გუნდის მართვა, გუნდის გაძლიერება და მოტივირება, გენდერული თანასწორობა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე;

4. პროფესიული კომუნიკაცია, ეფექტური კომუნიკაცია და ეფექტური მოლაპარაკებები, მედიასთან ურთიერთობა და საჯარო გამოსვლა;

5. საჯარო სამსახურის ეთიკა, კონფლიქტების მოგვარება, ორგანიზაციული კულტურა, ანტიკორუფციული პოლიტიკა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საშუალებები.

შესაბამისად, განსაზღვრულია პროგრამის 5 მიზანი და სწავლის 17 შედეგი, რომლებიც სამ მსხვილ კატეგორიაშია გაერთიანებული: ცოდნა/გაგება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და დამოკიდებულება. თითოეული მიზანი გაწერილია მოდულების შესაბამისად, სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკისა და სწავლების მეთოდების მიხედვით უზრუნველყოფილია შესაბამისი სწავლის შედეგების თანმიმდევრული მიღწევა.

ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 3)

- პროგრამის განხორციელების განრიგი (დანართი 6)
- პროგრამის კურიკულუმი (დანართი 1)
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5. პროგრამის კომპონენტები უკავშირდება დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციების შეძენას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტები უკავშირდება დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციების შეძენას. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთათვის 5 საგნის სწავლებას. შესაბამისად, იდენტიფიცირებულია 5 მიზანი, რომელიც უნდა მიიღწეს პროგრამის შედეგად. აღნიშნული პროგრამის მიზნები მიიღწევა სწავლების შედეგების დადგომის გზით (სულ იდენტიფიცირებულია 17 სწავლების შედეგი). სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამონათვალი და რუკა, სადაც აღნიშნულია, თუ კონკრეტულად პროგრამის რომელი მიზანი მიიღწევა სწავლების შედეგის დადგომის გზით.

ინდიკატორები:

- სასწავლო პროგრამა, კურიკულუმი (დანართი 1);
- ცალკეული საგნების სილაბუსები (დანართი 2);
- მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 3).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.6. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხანგრძლივობაა 40 საათი, რაც შეესაბამება N242 დადგენილებით განსაზღვრულ დატვირთვას. მსმენელთათვის შეთავაზებული დღიური დატვირთვაა დღეში 4 საათი სამუშაო დღეებში და 6 საათი არასამუშაო დღეებში. პროგრამის ფარგლებში თითოეული მოდულის ხანგრძლივობა ლოგიკურადაა განსაზღვრული მოდულის შინაარსის სირთულისა და დატვირთვის შესაბამისად.

ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

- პროგრამის კურიკულუმი (დანართი 1)
- საგნების სილაბუსები (დანართი 2)
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.7. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა და პროგრამის განხორციელების გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას:

ა) სასწავლო მასალა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიხედვით რელევანტური მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს;

ბ)პროგრამის განხორციელების გეგმა შეიცავს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად და აკრედიტაციის ვიზიტზე ტრენერებთან/პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ცალკეული საგნის სილაბუსის შემუშავების ეტაპზე შეიქმნა თემატური სამუშაო ჯგუფები, რომელთა მიერ მოხდა პროგრამით

გათვალისწინებული სასწავლო მასალის იდენტიფიცირება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა კონკრეტული სასწავლო მასალები (მაგ. პრეზენტაციები, სავარჯიშოები, ჰენდაუთები და სხვ.). ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უმჯობესია ტრენერების მიერ წინასწარ მომზადდეს სასწავლო პროგრამის განხორციელებისას გამოსაყენებელი სასწავლო მასალა და შეჯერდეს ერთმანეთთან მსმენელთათვის სასწავლო პროგრამის ერთგვაროვანი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის განხორციელების გეგმა შეიცავს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ.
ინდიკატორები: • სასწავლო პროგრამა, კურიკულუმი (დანართი 1); • ცალკეული საგნების სილაბუსები (დანართი 2); • პროგრამის განხორციელების განრიგი (დანართი 6); • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია, ტრენერების მიერ წინასწარ მომზადდეს სასწავლო პროგრამის განხორციელებისას გამოსაყენებელი სასწავლო მასალა და შეჯერდეს ერთმანეთთან
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.8. პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას, ხოლო უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასების მეთოდი და ინსტრუმენტები განსაზღვრულია სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით (დანართი 8). ეს არის შეფასების კითხვარი მსმენელებისათვის და შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის. მსმენელთა შეფასების კითხვარი გამიზნულია პროგრამის ორგანიზატორებისათვის სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად და მოიცავს მსმენელთა დამოკიდებულებას პროგრამის შემდეგი ასპექტების მიმართ: კურსის შინაარსი და სტრუქტურა. კურსის შედეგად მსმენელის ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების დონე, მიღებული ინფორმაციის შესაბამისობა სამსახურებრივ საჭიროებებთან; კურსის ორგანიზაციული მხარე, ადმინისტრაციული პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური მხარე, ტრენერის შეფასება. ექსპერტთა აზრით, მისასალმებელია სასწავლო კურსების კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შეფასების სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც პროგრამის განხორციელებიდან 6 თვის შემდეგ ტარდება. კითხვარი აფასებს კურსის რელევანტურობას მსმენელის მიმდინარე სამუშაოსთან მიმართებით, კურსის მნიშვნელობას კარიერული განვითარებისათვის, პიროვნული განვითარებისათვის და პროფესიული კავშირების შენარჩუნებისათვის. კითხვარში გათვალისწინებულია ასევე ღია პასუხი კურსის მომავალი გაუმჯობესების მიზნით. აღსანიშნავია, ასევე, რომ მსგავსი კითხვარი ეგზავნება მსმენელის უშუალო ხელმძღვანელს, რაც სკოლას საშუალებას აძლევს, ადეკვატურად შეაფასოს პროგრამის ეფექტურობა და გრძელვადიანი ზეგავლენა. თუმცა, როგორც ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, ამგვარი უკუკავშირის მიღება ხშირად გართულებულია: შესაძლოა კურსდამთავრებული აღარ მუშაობდეს იმავე უწყებაში, უმეტესობა კი უბრალოდ არ ავსებს კითხვარს. აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა, პროფესიული საჯარო მოხელის განვითარების ერთ-ერთ ბაზისს წარმოადგენს, პროგრამის შეფასების შედეგები უნდა აისახოს კონკრეტული მოხელის პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ამგვარი უკუკავშირის მიღება სკოლას უფრო გაუადვილდეს, რადგან ამაში თავად საჯარო უწყებაც იქნება დაინტერესებული. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამების დაგეგმვის საწყის ეტაპზე ტრენინგ საჭიროებების ანალიზი ხორციელდება პოტენციური მსმენელების გამოკითხვით.
ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დანართი 8);

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.9. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს:

ა) სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ შედგენილი შეფასების გეგმის მიხედვით;

ბ) პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების ადეკვატური ფორმები და მეთოდები, რომელიც მსმენელის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;

გ) სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად და დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სწავლის შედეგების შეფასების მიზნით სკოლა იყენებს, მაფორმირებელ (Formative) და შემაჯამებელ (Summative) შეფასების მეთოდებს. მაფორმირებელი შეფასების დროს სკოლა ახორციელებს მსმენელის სწავლის პროცესის მონიტორინგს, ხოლო შემაჯამებელი შეფასების დროს მსმენელის სწავლის შედეგების შეფასებას. სწავლის შედეგების შეფასებისთვის სკოლა იყენებს ე.წ. პოსტ შეფასებას, რაც გულისხმობს ტესტირებას კურსის/მოდულის დასასრულს. შემაჯამებელი ტესტი მოიცავს საკითხებს მთლიანი მოდულიდან. დადებით შეფასებად ითვლება მსმენელის მიერ

მინიმალური ზღვარის - მაქსიმალური ქულის 70% -ის გადალახვა.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ტრენინგის მონაწილის სწავლის შედეგების შეფასებისთვის უმჯობესია ასევე გამოყენებული იქნეს პრე-ტესტები, რადგან მხოლოდ პოსტ-ტესტით შეუძლებელია დავადგინოთ მსმენელის ცოდნის საწყისი დონე და შესაბამისად, გავზომოთ და შევაფასოთ სასწავლო პროგრამის ზეგავლენა მსმენელის ცოდნაზე.

„სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის თანახმად, სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, შეფასების პროცესი მოიცავს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად (სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე და ექვს თვეში). შეფასების ფაზაში მიღებული ანალიზის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროგრამისა და პროცესის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორები:

- სასწავლო პროგრამა, კურიკულუმი (დანართი 1);
- მსმენელთა შეფასებისა და პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესი (დანართი 4);
- სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ შემუშავებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი (დანართი 8, დანართი 6 - სასწავლო პროგრამის შეფასება);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ტრენინგის მონაწილის სწავლის შედეგების შეფასებისთვის უმჯობესია პოსტ-ტესტთან ერთად გამოყენებული იქნეს პრე-ტესტიც

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.10. პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლისა (საკონტაქტო საათების მიხედვით) და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგის საფუძველზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემა დარეგულირებულია სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების და მსმენელთა შეფასებისა და პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის დოკუმენტებით. სერტიფიკატი გაიცემა პროგრამაში შემავალი თითოეული მოდულის 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის დაკმაყოფილების (მოდულისათვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების მიხედვით) და მსმენელის მიერ ფინალურ ტესტირებაში 70 (მაქსიმალური 100-დან) ქულის მიღების შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ვერ გადალახავს ფინალური ტესტირების მინიმალურ ზღვარს, მას ეძლევა გადაბარების შესაძლებლობა შემაჯამებელი ტესტიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ გადაბარების მიუხედავად მონაწილე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ მინიმალურ ზღვარს, მას სერტიფიკატი არ გადაეცემა;

II და I რანგის იმ მოხელეებს, ვინც გაირა საქართველოს მთავრობის # 242 დადგენილებით გათვალისწინებული მხოლოდ მე-4 და მე-5 საგნები, გადაეცემათ შესაბამისი საგნ(ებ)ის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სერტიფიკატზე მითითებულია:

1) თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლოგო და/ან პარტნიორი ორგანიზაციის ლოგო;

2) პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების სრული დასახელება;

3) მსმენელის სახელი, გვარი;

4) პროგრამის დასახელება;

5) აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი;

6) პროგრამის მოდულები (საჭიროებისამებრ);

7) პროგრამის გავლის პერიოდი (რიცხვი, თვე, წელი);

8) პროგრამის განხორციელების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა);

9) პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების უფლებამოსილი პირის და ტრენერ(ებ)ის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერის ადგილი;

10) პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების ბეჭედი;

11) სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის მიხედვითაც ხდება სერტიფიკატის აღრიცხვა „სერტიფიკატის რეესტრში“

აღსანიშნავია, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ მასალაში ნიმუშად წარმოდგენილია სკოლის მიერ შეთავაზებული ერთ-ერთი მოდულის (უსაფრთხოების თემაზე) სერტიფიკატი. სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს უშუალოდ აკრედიტაციაზე გამოტანილი პროგრამის სერტიფიკატის ნიმუში.

ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი (დანართი 8)
- პროგრამის კურიკულუმი (დანართი 1)
- მსმენელთა შეფასებისა და პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესი (დანართი 4)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

წარმოდგენილი პროგრამისათვის სპეციფიკური სერტიფიკატის ნიმუშის შემუშავება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
პროგრამის შინაარსი	☒	☐	☐

2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

2.1. სწავლებას ახორციელებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები (შემდგომში – ტრენერი): ა) ტრენერს აქვს პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი: 1) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-

წლიანი გამოცდილება; და 2) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

ბ) ტრენერთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ან წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) ტრენერს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, ტრენერი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებამაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან ტრენერები, რომელთა შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება (არანაკლებ ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგები, დასაქმება საჯარო სექტორში ან საჯარო მმართველობის სფეროში, შესაბამისი აკადემიური განათლება) დასტურდება მათი პირადი საქმეებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად შემოწმდა ტრენერების პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, თითოეულ მოდულს სულ მცირე ოთხი ტრენერი ახორციელებს. საპილოტე პროგრამის ჩატარების პრაქტიკიდან გამომდინარე, გამიზნულია ერთ ტრენინგ-მოდულზე ორი ტრენერის ერთდროულად მუშაობა. მაღალია ტრენერთა ჩართულობა მოდულების სილაბუსების, სასწავლო მასალებისა და პროგრამის სტრუქტურის შემუშავებაში. ტრენერთა დიდ ნაწილს გავლილი აქვს საჯარო სამსახურის ბიუროსა და GIZ-ის მიერ შეთავაზებული ტრენერთა ტრენინგი, კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ტრენერებთან გაფორმებული აქვს ე.წ. „შეთანხმება შრომითი ურთიერთობის შესახებ“, რომელშიც ზოგადადაა განსაზღვრული ტრენერისა და სკოლის ვალდებულებები; თუმცა არ არის მითითებული შესასრულებელი სამუშაოს ანაზღაურებადი ხასიათი და ანაზღაურების პირობები; ინსტიტუტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ წინასწარ შეთანხმებებში ანაზღაურების მითითება ტრენერების მიმართ ვალდებულებების წარმოშობას გამოიწვევდა და მათ უკვე ინსტიტუტის დასაქმებულ პერსონალად აქცევდა. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და მიაჩნია, რომ ამით პროგრამის ფინანსური მდგრადობა შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს. ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც უშუალოდ ტრენინგის განხორციელების წინ და ტრენინგის ზუსტი ვადებისა და ანაზღაურების მითითებით. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, მხოლოდ ასეთ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით შესაძლოა, უშუალოდ პროგრამის განხორციელების წინ ვერ მოხერხდეს შესაფერისი ტრენერების მოძიება, მათი დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე (ტრენერთა დიდი ნაწილი სხვა სასწავლო ცენტრებთანაც თანამშრომლობს ამავე პროგრამის ფარგლებში). ექსპერტების აზრით, სასურველი იქნებოდა, შრომით შეთანხმებაში შრომის პირობებისა და ანაზღაურების ზოგადი პირობების მითითება, რაც გაზრდის ტრენერთა ვალდებულებას, საჭიროებისთანავე ჩაერთონ პროგრამის განხორციელებაში და ასევე პროგრამის მდგრადობას.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ ტრენერს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც შეაფერხებს მის ჩართვას პროგრამის განხორციელებაში.
ინდიკატორები • ტრენერებთან გაფორმებული შეთანხმებები შრომითი ურთიერთობების შესახებ (დანართი 10) • ტრენერების CV (დანართი 13) • ტრენერის სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დანართი 5) • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის შრომითი ურთიერთობების შესახებ შეთანხმების დოკუმენტში შრომის პირობებისა და ანაზღაურების ზოგადი წესის განსაზღვრა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები ოპტიმალურად არის განაწილებული: ა) სწავლების საკლასო მეცადინეობის მეთოდით/ ფორმით განხორციელების შემთხვევაში, ერთი ნაკადის მსმენელთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს; ბ) მსმენელის დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ

მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს განთავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში – 6 საკონტაქტო საათს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების გათვალისწინებით, აღნიშნული პროგრამის სწავლების ფორმად შერჩეულია საკლასო მეცადინეობა, ხოლო კლასში მსმენელთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს. საჯარო მოხელეების ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნულ პროგრამას სკოლა ახორციელებს წლის განმავლობაში ორი ალტერნატიული გრაფიკით: ერთ შემთხვევაში მსმენელების დატვირთვა არ აღემატება დღის განმავლობაში 4 საკონტაქტო საათს და გათვლილია მათთვის, ვინც იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას; მეორე შემთხვევაში მსმენელების დატვირთვა ითვალისწინებს დღის განმავლობაში არა უმეტეს 6 საკონტაქტო საათს და გათვლილია მათთვის, ვინც სამუშაო დღეს განთავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში.
ინდიკატორები: • სასწავლო პროგრამა, კურიკულუმი (დანართი 1); • “მოხელის მენეჯერული უნარების“ საგნების სილაბუსები (დანართი 2); • პროგრამის განხორციელების განრიგი/გეგმა (დანართი 6); • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. დაწესებულებას შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების დემონსტრირება:

ა) არსებობს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

ბ) შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც რეალისტური და გაზომვადია; ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს;

გ) ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს;

დ) რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის;

ე) არსებობს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფართი, სადაც დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის; ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან არსებობს წერილობითი შეთანხმება, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სკოლა სასწავლო პროგრამას ახორციელებს მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, მდებარე ქ. თბილისი დანიელ ჭონქაძის #20. დაწესებულების განმარტებით, სკოლის საკუთრებაში არსებული შენობა- ნაგებობებს და მასზე მიმაგრებულ მიწის ნაკვეთს ადევს გრიფი საიდუმლო, რის გამოც დანართის სახით ვერ წარმოადგინეს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 15 იანვრის წერილი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება სასწავლო ღონისძიებებს ახორციელებს მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში დანიელ ჭონქაძის #20-ში და გააჩნია სასწავლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური რესურსი.

თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი დამაკმაყოფილებლად თვლის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილს და მიაჩნია, რომ ფართის მართლზომიერი მფლობელობა ამ დოკუმენტით დასტურდება.

ფართის ვიზუალური დათვალიერებისას დასტურდება, რომ დაწესებულებას გააჩნია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას საკლასო მეცადინეობის ფარგლებში. კერძოდ, შენობაში არის 2 დიდი სატრენინგო სივრცე, ერთი პირველ, ხოლო მეორე - მესამე სართულზე. თითოეულ მათგანში თავისუფლად განთავსდება 20 და მეტი მსმენელი. დაწესებულებას ასევე გააჩნია ე.წ. 4 სინდიკატ ოთახი, აქედან 3 ოთახში შესაძლებელია 7-8 მსმენელის თავისუფლად განთავსება, ხოლო ერთ ოთახში 10-12 მსმენელის. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს ოთახები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრამის ფარგლებში მსმენელების მიერ სხვადასხვა სახის ჯგუფური დავალებების შესრულებისას. სატრენინგო სივრცეები და სინდიკატ-ოთახები აღჭურვილია სწავლებისთვის საჭირო ტექნოლოგიებითა და რესურსით, მათ შორის, პროექტორით, დაფით, ლეპტოპით, საპრეზენტაციო დაფით და ტრენინგის ჩასატარებელი საკანცელარიო ნივთებით.

შენობის პირველ სართულზე არსებული სატრენინგო სივრცე ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის:

1) ეტლით მოსარგებლე მსმენელთათვის სრულად ადაპტირებულია სატრენინგო სივრცე პირველ სართულზე;

2) სმენადაქვეითებული მონაწილისთვის უზღუნველყოფილია ხმის გამაძლიერებლები;

3) მცირედმხედველთათვის დამონტაჟებულია მონიტორები ოთახის ყველა კედელზე.

დაწესებულებას გააჩნია როგორც საკუთარი (870,000 ლარის ოდენობით), ასევე სასწავლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დირექტორის ბრძანებით. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ხარჯები 20 მსმენელის კვებისთვის, ლექტორთა დაქირავებისათვის, სერტიფიკატებისთვის, საკანცელარიო საქონლისა და წყლისთვის. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე დამატებითი შესყიდვების განხორციელება დაწესებულების ბიუჯეტიდან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია არაკომერციული ტრენინგების ჩატარებაზე, ხოლო კომერციული ტრენინგებისთვის ბიუჯეტის მონახაზი არ არსებობს.

დაწესებულების ბიუჯეტი პროგრამის განხორციელებისათვის რეალისტური და გაზომვადია, ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მათ პროგრამის განხორციელებისათვის ჰყავთ ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს.
ინდიკატორები: • სასწავლო პროგრამის ბიუჯეტი (დანართი 7); • სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ბიუჯეტი (დანართი 9); • ტრენერების ხელშეკრულების ნიმუშები (დანართი 10); • პერსონალის პირადი საქმეები (დანართი 11); • საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 15 იანვრის წერილი (დანართი 15); • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ შემუშავდეს კომერციული ტრენინგების ბიუჯეტი
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასება ითვალისწინებს უკუკავშირს ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ადგენს სამიზნე ნიშნულებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი, რომელიც პროგრამის დასრულებისთანავე ივსება, შეიცავს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კომპონენტს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომპონენტი შეფასებულია მხოლოდ ერთი ზოგადი კითხვით (შეაფასეთ კურსის მატერიალურ-ტექნიკური მხარე) 5-ქულიანი შეფასების შკალით, რაც ნაკლებად ინფორმატიულია პროგრამის ხარისხის ობიექტური შეფასებისათვის. ექსპერტების მოსაზრებით, შესაძლებელია შეფასების მეტი დეტალიზება, ან ღია პასუხის შესაძლებლობის მიცემა, მსმენელის კომენტარისათვის. აღსანიშნავია ასევე, რომ კითხვარები არ მოიცავს მსმენელთა დამოკიდებულების შეფასებას სასწავლო მასალის (როგორც მოცულობის, ისე მიწოდების ფორმის) შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო მასალა მსმენელებს ძირითადად მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით (ატვირთული სკოლის ელექტრონულ ბაზაში), ასევე, სილაბუსებში მითითებული საკმაოდ დიდი მოცულობის ლიტერატურიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, აღნიშნული კითხვის დამატება მსმენელთა შეფასების კითხვარში.
ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი (დანართი 8), მსმენელთა შეფასების კითხვარი (დანართი 4) • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • მსმენელთა შეფასების კითხვარში მატერიალური-ტექნიკური კომპონენტის შესაფასებელი კითხვის დეტალიზება/ღია პასუხის შესაძლებლობის შექმნა • სასწავლო მასალების მოცულობისა და მიწოდების ფორმის (ელექტრონულ ბაზაში ატვირთვა) შესახებ კითხვის დამატება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა

წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	☒	☐	☐